

ქართული საბრძოლო ხელოვნების თანამედროვე მუზეუმი

პროექტის მიზანი:

ქართული საბრძოლო ხელოვნების, როგორც ქართული კულტურის ერთერთი უმთავრესი ნაწილის პოპულარიზაცია, საქართველოს საბრძოლო კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლება, აღსაზრდელი თაობის ინტერესის გაღვიძება ტრადიციული საბრძოლო კულტურის მიმართ, ქ. ბათუმისათვის მნიშვნელოვანი კულტურულ-ტურისტული ობიექტის შემატება. ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი საამაყო კულტურის ნაწილის, ქართული საბრძოლო ხელოვნების გაცნობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

საქართველო როგორც ცივილიზაციის აკვანი, დიადი საბრძოლო კულტურისა და ისტორიის ქვეყანაა და ქართული საბრძოლო ხელოვნების თანამედროვე მუზეუმი ქ. ბათუმში იქნება ერთერთი მთავარი კერა ჩვენი საამაყო საბრძოლო კულტურის შესაცნობად.

ქალაქს გააჩნდეს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მნიშვნელოვანი ობიექტი.

დასაბუთება და აღწერა:

თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მუზეუმის არსებობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული პოტენციალის ზრდას. ამავდროულად ინფორმაციის გადმოცემის ხერხი, კერძოდ კი სხვადასხვა ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შემუშავებული ჰოლოგრაფული გამოსახულებებით შექმნილი სანახაობა, ამ ტექნოლოგიების მიმართ უზარმაზარი ინტერესიდან გამომდინარე განსაკუთრებით საინტერესო იქნება მოზარდებისათვის. უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომ ტრადიციული სამუზეუმო სივრცეებით დაინტერესება მოზარდ თაობაში იკლებს. თანამედროვე მიდგომა კი საშუალებას მოგვცემს მათი ინტერესის გაღვივების, რაც იქონიებს საკმაოდ ძლიერ საგანმანათლებლო ეფექტს. რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მათ მეტ ჩართულობას ქართული საბრძოლო კულტურის განვითარებასა და ზოგადად ხელისშემწყობი პირობა იქნება მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდის საქმეში. პროექტს გააჩნია დიდი ტურისტული პოტენციალი, მისი დახმარებით მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებელი შეძლებს გაიგოს, რომ საქართველო არა მხოლოდ ვაზის, ღვინის, სიმღერისა და ცეკვის არამედ მსოფლიოს ქვეყნებს შორის ერთერთი უძლიერესი საბრძოლო ხელოვნებისა და კულტურის სამშობლოა.

ქართული საბრძოლო ხელოვნების თანამედროვე მუზეუმში წარმოდგენილი იქნება საქართველოს, მისი კუთხეების - საბრძოლო ისტორია, არტყურვილობა, ტრადიციები ფაქტები მოვლენები და ა.შ. ეს ყველაფერი გადმოცემული იქნება ჰოლოგრაფული გამოსახულებებისა და თანამედროვე ვიზუალური ტექნოლოგიების გამოყენებით. რაც საშუალებას გვაძლევს გადმოვცეთ მრავალსახოვანი ინფორმაცია ერთი და იგივე მოწყობილობების დახმარებით ეს კი მნიშვნელოვნად გვიზოგავს თანხებს საექსპონატო მუზეუმებისგან განსხვავებით. წარმოდგენილი იქნება საბრძოლო ხელოვნების ისტორია, საბრძოლო იარაღები, აღჭურვილობა, სახეობები, წეს ჩვეულებები და უამრავი საინტერესო მასალა. ამავდროულად საშუალება გვაძლევს გრაფიკის საშუალებით აღვადგინოთ, წარმოვადგინოთ დაკარგული და დაზიანებული ექსპონატები. ასევე წარმოვადგინოთ საბრძოლო ისტორიის მნიშვნელოვანი პიროვნებები, წარუდგინოთ საზოგადოებას ქართველ მებრძოლთა სახეები (მაგ: ხევსური, თუში მებრძოლო სრული აღთურვილობით, დამახასიეთებელი იარაღ საჭურველით და ა.შ). მნახველს საშუალება ექნება პირადად დაინახოს, შეიგრძნოს ისტორია დაბრუნდეს წარსულში და დააკვირდეს მოვლენებს. ჩატარდება უამრავი სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები. მოცემული პროექტის პოტენციალი ამ მხრივ ფართოა, ის მუდმივად შეძლებს საკუთარი თავის განვითარებას და მუდამ უფრო და უფრო მეტს შესტავაზებს ვიზიტორებს.

მოსალოდნელი შედეგი:

ქ. ბათუმში გაჩნდება კიდევ ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული ობიექტი. ქართული საბრძოლო ხელოვნებასა და მის ისტორიას გაეცნობა უამრავი ადამიანი მათ შორის ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხიდან. გაიზრდება ქალაქის ტურისტული პოტენციალი.

პროექტის საშუალებით ქალაქში იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ობიექტი რაც დაადასტურებს და ხაზს გაუსვამს ქალაქის ტექნოლოგიურად გავითარების სურვილს.

მომავალ თაობას ექნება საშუალება ერთ სივრცეში გაეცნოს ქართულ საბრძოლო ხელოვნებას და შესაბამისად გაიზრდება მათი ინტერესი ეროვნული სპორტისა და საბრძოლო ხელოვნების მიმართ. მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება ეროვნულ სახეობებსა და შეარჩევს მისთვის სასურველ ჯანსაღი ცხოვრების სტილს.

ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ეროვნული აზროვნებისა და ფასეულობების გაზრდას, რაც ჯანსაღი საზოგადოების ერთერთი საწინდარია.

საშუალებას მისცემს ქართული საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა სახეობებს ახლად გააცნონ დაინტერესებულ საზოგადოებას თავიანთი საქმიანობა, რაც დამატებით ბიძგს მისცემს მათ განვითარებისათვის.

პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა:

- 1) შენობა/ფართი - დაახლოებით 650-800 კვ.მ მაგ: პროექტის განხორციელება შეიძლება მუნიციპალურ შენობასა ან ფართში რომელიც უფუნქციოდაა დარჩენილი, სასურველი იქნება შესაფერისი არქიტექტურის მქონე შენობა.
- 2) ფართის მოწყობა

დანიშნულება	ფართი კვ.მ	კვ.მ მოწყობა ლ დაახლოებით	ჯამი ლ დაახლოებით
სამუშაო სივრცე	70	90	6 300
სამუზეუმო სივრცე	450-550	80	44 000
ლონისძიების სივრცე	100-150	80	12 000
სველი წერტილები	30	110	3 300

- 3) მატერიალური ბაზა ქართული საბრძოლო ხელოვნების თანამედროვე მუზეუმის ფუნქციონირებისათვის (კომპიუტერები, ჰოლოგრაფული ეკრანები, ჰოლოგრაფული პროექტორები, ჰილოგრაფული სტენდები, განათებები, აუდიო სისტემები, პრინტერები,კამერები)

დასახელება	რაოდენობა	ფასი ლ დაახლოებით	სულ ლ დაახლოებით
კომპიუტერი (ცენტრალური)	2	4800	9600
კომპიუტერი (დამატებითი)	3	1450	4350

პროექტორი	60	3300	198 000
აუდიო სისტემა	1	10 000	10 000
ჰოლოგრამული სტენდი (მთავარი)	1	6500	6500
ჰოლოგრამული სტენდი (მცირე)	10	1050	10500
ჰოლოგრამული ეკრანი	1	6500	6500
როუტერები ხაბები	1	1500	1500
კაბელები და სხვ.	1	1000	1000
სპეც განათება	1	2500	2500

4) პროექტის განსახორციელებლად საჭირო მომსახურება:

გრაფიკულ-ტექნიკური გამართვა და სხვ. ხარჯი	25 000 ლ
---	----------

პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხა ჯამი: 341 050 ლ

აღნიშნული პროექტი თვითადმინისტრირებადია ტექნიკურად.

პროექტს დააასპონსორებს არამატერიალური, განახლებადი რესურსებით ააიპ ა.ა.რ. ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „დიჩინი“.

პროექტის ავტორი: დვთისავარი ხასიევი